საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება N 01-02/08**

ქ. ბათუმი 15 იანვარი, 2020 წელი

**„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები" დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის N01-02/177 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის 01-02/202 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2020 წლის 14 იანვრის მოხსენებითი ბარათის №25171 საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები" დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის N01-02/177 ბრძანების პირველ პუნქტში, კერძოდ დანართი 1 „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები" ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართი 1 „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები" შესაბამისად;
2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში „ბსუ-ს რექტორის ბრძანებები" და „პროფესიული სწავლება").
4. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს (პროგრამების ხელმძღვანელებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს ცენტრმა) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

| |
|---|
| **პროგრამის სახელწოდება:** განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები |
| **პროგრამის სახე:** ☐ პროფესიული მომზადება ☒ პროფესიული გადამზადება |
| **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:**<br>☐ 2 ☐ 3 ☐ 4 ■ 5 |
| **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 12 |
| **კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 9 |
| **მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:** მინიმალური 10, მაქსიმალური 20 |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** 18 წელი, სრული ზოგადი/უმაღლესი განათლება, საბავშვო ბაღში მუშაობის არანაკლებ 3 თვიანი გამოცდილება |
| **პროგრამის მიზნები:**<br>➢ შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით გადაამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელსაც შეეძლება საბავშვო ბაღებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა. |

სწავლის შედეგები

1. ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა
2. ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება
3. გსმ ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა ჯგუფში
4. სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს შორის განსხვავებულობის პატივისცემას
5. მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა

პროგრამის შემუშავების საფუძველი: - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 აგვისტოს N69 დადგენილებით (ცვლილება: ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის N131 დადგენილება; ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის N72 დადგენილება) დამტკიცებული „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანების დირექტორის (2019 წლის 11 ივლისის N01-24-272 წერილი) მომართვის საფუძველზე.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრას, აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებას, გსმ ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის რეალურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას და მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობას.

პროგრამა განკუთვნილია სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის ან/და დასაქმების მსურველთათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელი პედაგოგის მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედებდა სკოლამდელი აღზრდის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა., ხოლო 2017 წლიდან ბსუ-ში ხორციელდება ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების საჭიროება დადგა შრომის ბაზრის კვლევის, ასევე ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანების წერილობითი მომართვის შედეგად. პროგრამის განხორციელების მიზნით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანებას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

პროფესიული გადამზადების პროგრამას ახორციელებს დარგის წამყვანი სპეციალისტები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, მათ შორის საბავშვო ბაღების მოქმედი პრაქტიკოსი პედაგოგები.

პროფესიული გადამზადების პროგრამის „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები" მოცულობა შეადგენს 108 საათს. მსმენელთა გადამზადება განხორციელდება 12 კვირის განმავლობაში, კვირეული დატვირთვით - 9 საათი, კვირაში 3-4 დღე (დამსაქმებელთან შეთანხმებით).

პროგრამას ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, რაც გულისხმობს პროფესიული გადამზადების პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამით გათვალისწინებული საათების -30 %), ან/და რეალურ სამუშაო გარემოში (პარტნიორ ბაგა-ბაღებში - 70%) მიღწევას.

პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება: გამოკითხვით, პრაქტიკული დავალებით და პროცესზე დაკვირვებით, სწავლის შედეგების დასრულების ბოლოს (V, VIII, XII კვირას).

გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულების შეფასების ინსტრუმენტები:

1. ღია ტესტები;
2. დახურული ტესტები;
3. კითხვები არჩევითი პასუხით;

პროცესზე დაკვირვების და პრაქტიკული დავალების (პროდუქტი) შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული პროცესზე დაკვირვების ფურცლის (Check List) საშუალებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

| სასწავლო კვირა | თემატიკა | თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები | კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა | სწავლების მეთოდი/ები | შეფასების მეთოდი/ები | სასწავლო გარემო |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | • განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების პატივისცემა<br>• განსაკუთრებული საჭიროების გაგების განსხვავებული მოდელები<br>• ინკლუზიური ინტეგრირებული და სპეციალური განათლება | 1 | 9 | ლექცია,<br>როლური თამაში | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| 2 | • ბავშვის ფუნდამენტური უფლებები<br>• ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა და პოლიტიკა<br>• ბავშვის ქცევაზე დაკვირვება | 1, 2 | 9 | ლექცია,<br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| 3 | • ინტერვიუს ტექნიკები<br>• ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების განსაზღვრა<br>• კომუნიკაციური პრობლემის თავისებურებები | 2 | 9 | ლექცია,<br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| 4 | • სენსორული პრობლემის თავისებურებები<br>• მოტორული პრობლემის თავისებურებები<br>• ინტელექტუალური პრობლემის თავისებურებები | 2 | 9 | ლექცია,<br><br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| 5 | • ქცევის პრობლემის თავისებურებები | 2 | 3 | ლექცია,<br><br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| | შეფასება | I –II სწავლის შედეგების შეფასება | 6 | | წერილობითი გამოკითხვა;<br><br>პროდუქტის/შედეგის შეფასება (პრაქტიკული დავალება)<br><br>პროცესზე დაკვირვება (სიმულაცია) | |
| 6 | • კომუნიკაციური პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები<br>• სენსორული პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები<br>• მოტორული პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები | 3 | 9 | ლექცია,<br><br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | C (6 საათი) |
| 7 | • ინტელექტუალური პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები<br>• ქცევის პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები<br>• SMART მიზნების ფორმულირება | 3 | 9 | ლექცია,<br><br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (2 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (7 საათი) |
| 8 | • დახმარების ფორმები აქტივობის ბიჯებად დაყოფა | 3 | 5 | ლექცია,<br><br>როლური თამაში. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (2 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (7 საათი) |
| | შეფასება | III სწავლის შედეგის შეფასება | 4 | | წერილობითი გამოკითხვა;<br><br>პროდუქტის/შედეგის შეფასება (პრაქტიკული დავალება)<br><br>პროცესზე დაკვირვება (სიმულაცია) | |
| 9 | • როლები და პასუხისმგებლობები<br>• ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკა<br>• დღის გეგმის მოდიფიცირება | 4 | 9 | ლექცია,<br><br>როლური თამაში,<br><br>შემთხვევის შესწავლა. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | • პროგრესის შეფასება<br>• გუნდური მუშაობის მნიშვნელობა<br>• აღმზრდელის მულტიდისციპლინარულ გუნდთან მუშაობის მნიშვნელობა | 4,5 | 9 | ლექცია,<br><br>როლური თამაში,<br><br>შემთხვევის შესწავლა. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| 11 | • საკუთარი და სხვა სპეციალისტების როლი და პასუხისმგებლობა გსმ ბავშვებთან მუშაობის პროცესში<br>• განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენის დროს სხვა სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობის გათვალისწინება | 5 | 9 | ლექცია,<br><br>როლური თამაში,<br><br>შემთხვევის შესწავლა. | | საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (9 საათი) |
| 12 | • კონკრეტული შემთხვევის შესწავლის საფუძველზე სწორად შეიმუშავებს განვითარების ინდივიდუალურ გეგმას | 5 | 4 | | | ობიექტი/სამუშაო გარემო; A გარემო (3 საათი)<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულება/ პრაქტიკის ობიექტი/სამუშაო გარემო; C (6 საათი) |
| | შეფასება | IV-V სწავლის შედეგების შეფასება | 5 | | წერილობითი გამოკითხვა;<br><br>პროდუქტის/შედეგის შეფასება (პრაქტიკული დავალება) | |
| | სულ საათების რაოდენობა | | 108 | | | |

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული გადამზადების პროგრამა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი | |
|---|---|
| მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი | სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი |
| განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები 0110113 | ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა (I სწავლის შედეგი) |
| | ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება (II სწავლის შედეგი) |
| | გსმ ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა ჯგუფში (III სწავლის შედეგი) |
| | სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს შორის განსხვავებულობის პატივისცემას (IV სწავლის შედეგი) |
| | მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა (V სწავლის შედეგი) |